საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020193717458023

№ 24-ს **20 / აპრილი / 2023 წ.**

ინოვაციების საზოგადოების განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების შესარჩევის კონკურსის გამოცხადების, შესარჩევი კრიტერიუმებისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის № 1-1/66 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ინოვაციების საზოგადოების განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების შესარჩევი კონკურსი. საკონკურსო აპლიკაციების მიღება განხორციელდეს 2023 წლის 22 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით, სააგენტოს ელექტრონული პორტალის grants.gov.ge მეშვეობით.

2.კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირებს, რომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივი ინოვაციების საზოგადოების გაძლიერება და მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება.

3. გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით დამტკიცდეს კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

თორნიკე ჯობავა - კომისიის წევრი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან დარსალია - კომისიის წევრი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;
სალომე მაჭარაშვილი - კომისიის წევრი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოგიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და კომუნიკაციის ხელმძღვანელი;

4. კომისიის მიერ კონკურსის მონაწილეთა შეფასება განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	ქულა
გუნდი	15
მდგრადობა	15
მთავარი მახასიათებლები	30
თანხის მიზნობრიობა	20
აქტივობების ცხრილი	10
სტარტაპების წარმოჩენა და საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნა	10

5. კონკურსის გამარჯვებულად გამოცხადდეს ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ქულების შესაბამისად, ყველაზე მაღალი შეფასების მქონე მონაწილე.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. #2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი. დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ავთანდილი კასრაძე